

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების
ცენტრში გამოცდის ჩატარების წესი**

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) ჩატარებული გამოცდების შესაბამის დისციპლინებში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი განისაზღვრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესაბამისად.
2. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი სასწავლო კურსში/დისციპლინაში ფასდება მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
3. სასწავლო კურსის/დისციპლინის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.
4. შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის/დისციპლინის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.
5. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება:
 - ა) დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.
 - ბ) მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე - დადებითია სტუდენტის მიერ 24 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი) მიღების შემთხვევაში. (პ.5 -„ბ“ ამოქმედდეს 2014/2015 სასწავლო წლიდან, 11.02.2013, №24/2).
6. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
7. გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ მის მიერ პირადობის მოწმობის, პასპორტის ან უნივერსიტეტის მიერ გაცემული სტუდენტის ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
8. შეფასების სისტემა გულისხმობს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9. დასკვნით გამოცდაზე 20 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდის შეფასება ფორმდება უწყისში V გრაფაში (საბოლოო გამოცდის ქულა). საბოლოო შეფასების ქულობრივი ჯამი უწყისში არ ფორმდება. საგამოცდო ქულა შუალედურ შეფასებათა ქულასთან არითმეტიკულად დაჯამდება მხოლოდ სტუდენტის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასების სახის (Fx/F) განსაზღვრისათვის და ამ უკანასკნელის ECTS-ის ეკვივალენტით უწყისში გაფორმებისათვის.

10. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა. (20.02.2017, №24/4).

11. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა:

ა) ძირითად სასესიო პერიოდში გამოცდაზე გაუსვლელობის შემთხვევაში, მიზეზის მიუხედავად,

ბ) ძირითად სასესიო პერიოდში შეფასების Fx მიღების შემთხვევაში.

12. ცენტრში გამოცდები ტარდება კომისიური წესით.

13. საგამოცდო კომისიების შემადგენლობას, ინტეგრირებული და დამამთავრებელი გამოცდების საგამოცდო კომისიებისთვის კი – ასევე, პასუხისმგებელი პროფესორის კანდიდატურას რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის დირექტორი;

14. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ცენტრის წარმომადგენელი. (20.02.2017, №24/4).

15. საგამოცდო კომისია ვალდებულია სათანადოდ გაფორმებული საგამოცდო დოკუმენტაცია და ინფორმაცია გამოცდის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ წარუდგინოს საგამოცდო ცენტრს.

16. გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე შესაძლებელია რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცდეს დამკვირვებელთა შემადგენლობა. დამკვირვებელთა შორის უნდა იყოს ერთი სტუდენტი (თუ იგი არ არის გამოსაცდელი პირი), სტუდენტური თვითმმართველობის წარდგინებით. (20.02.2017, №24/4).

17. დამკვირვებელი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის, დეკანატების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, აკადემიური ან დამხმარე პერსონალი, გარდა საგამოცდო სასწავლო კურსის პერსონალისა. (20.02.2017, №24/4).

18. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს გამოცდებზე დასწრების უფლება აქვს წარდგინების გარეშე.

19. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის მიერ. (20.02.2017, №24/4).

19'. გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრს საგამოცდო ტესტები წინამდებარე წესის დანართი 1-ის შესაბამისად წარედგინება გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 72 საათისა. (20.02.2017, №24/4).

20. ცენტრში გამოცდა ტარდება პროგრამულ რეჟიმში. (20.02.2017, №24/4).

21. კომისია ვალდებულია დასკვნითი გამოცდის შეფასება და დაჯამებული საბოლოო შეფასება სტუდენტს აცნობოს დაუყოვნებლად.

22. სტუდენტს მიღებული შეფასების საგამოცდო კომისიაში გასაჩივრების უფლება აქვს შეფასების გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში. (20.02.2017, №24/4).

23. ა) სტუდენტის საჩივარი, დაფიქსირებული გამოცდის დასრულებისთანავე და რომლის საფუძველს წარმოადგენს ტესტის ტექნიკური ან სხვაგვარი ხარვეზი საგამოცდო კომისიის მიერ განიხილება გამოცდის დღეს და შედეგი აისახება საგამოცდო ოქმში.

ბ) სტუდენტის საჩივარს, წარმოდგენილს წინამდებარე წესის 3.22-ით დადგენილ ვადაში საგამოცდო კომისია განიხილავს და ერთი სამუშაო დღის ვადაში ცენტრს წარუდგენს არგუმენტირებულ წერილობით დასკვნას (2 ეგზემპლარად) შეფასების შეცვლის ან უცვლელობის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ ფორმდება შეფასების ცვლილების ოქმი (3 ეგზემპლარად), რომელსაც ხელს აწერს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ცენტრის დირექტორი. შეფასების შეცვლის შემთხვევაში ცვლილება აისახება საგამოცდო უწყისში და მას თან დაერთვის ოქმი. (20.02.2017, №24/4).

24. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ აკადემიური სიყალბის (სხვა სტუდენტის ნაშუქვიდან გადაწერა, იმპერსონიზაცია [სხვის მიერ გამოცდის ჩაბარება], დაფარული ან წინასწარ შეთანხმებული სიგნალების გამოყენება ურთიერთდასახმარებლად, ე.წ. შპარგალკების შეტანა, მათ შორის - ელექტრონული საშუალებებით, საგამოცდო საკითხების და ტესტების მოპარვა, პლაგიატი და სხვ.) ჩადენის მცდელობის ან სიყალბის დადგენის შემთხვევაში სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და უფორმდება საგამოცდო შეფასება “ნული”; აღნიშნულის შესახებ ფორმდება აქტი, რომელსაც ხელს აწერს გამოცდაზე დამსწრე პირები. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი (საბოლოო შეფასება) დგინდება ამ წესის 3.3. 2-9-ის შესაბამისად.

25. საგამოცდო დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელია დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ცენტრის დირექტორი; ინტეგრირებული გამოცდის და დამამთავრებელი გამოცდის შემთხვევაში საგამოცდო დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მოადგილე, ცენტრის დირექტორი და პასუხისმგებელი პროფესორი. (20.02.2017, №24/4).

26. საგნობრივი უწყისის სათანადოდ შევსებული და გაფორმებული ერთი ეგზემპლარი გამოცდის დამთავრებიდან არაუგვიანეს 24 საათისა ბარდება დეკანატს და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით; საგნობრივი გამოცდის უწყისის მეორე ეგზემპლარი ინახება დეპარტამენტში სტუდენტთა მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დასრულების და დიპლომის (მისი დანართითურთ) მიღების შემდგომ დეპარტამენტში/მიმართულებაზე და ცენტრში დაცული უწყისები უნდა განადგურდეს სათანადო აქტის გაფორმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.02.2017, №24/4).

27. ინტეგრირებული გამოცდის სათანადოდ შევსებული და გაფორმებული ოქმის ერთი ეგზემპლარი გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 24 საათისა ცენტრის მიერ გადაეცემა შესაბამის დეკანატს და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით; მეორე ეგზემპლარი ინახება ცენტრში. სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დასრულების და დიპლომის (მისი დანართითურთ) მიღების შემდგომ ცენტრში დაცული უწყისები უნდა განადგურდეს სათანადო აქტის გაფორმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.02.2017, №24/4).
28. გამოცდის დასრულების შემდეგ საგამოცდო ოქმების შენახვაზე, სტუდენტთა მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებამდე და დიპლომის (მისი დანართითურთ) მიღებამდე, პასუხისმგებელია სასწავლო დეპარტამენტი შემდგომ ოქმები შესაძლებელია განადგურდეს სათანადო აქტის გაფორმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.02.2017, №24/4).
29. ინტეგრირებული გამოცდის საგამოცდო ოქმების შენახვაზე საგამოცდო შეფასების გასაჩივრების ვადის დასრულებამდე პასუხისმგებელია ცენტრი; საგამოცდო შეფასების გასაჩივრების ვადის დასრულების შემდეგ ოქმები ცენტრის მიერ ბარდება შესაბამის დეკანატს. სტუდენტების მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებამდე და დიპლომის (მისი დანართითურთ) მიღებამდე ოქმების შენახვაზე პასუხისმგებელია დეკანატი. შემდგომ ოქმები უნდა განადგურდეს სათანადო აქტის გაფორმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.02.2017, №24/4).
30. დამამთავრებელი გამოცდის საგამოცდო ოქმების შენახვაზე საგამოცდო შეფასების გასაჩივრების ვადის დასრულებამდე პასუხისმგებელია ცენტრი; საგამოცდო შეფასების გასაჩივრების ვადის დასრულების შემდეგ ოქმები გადაეცემა შესაბამის დეკანატს და სტუდენტის მიერ დიპლომის (მისი დანართითურთ) მიღების შემდგომ ინახება სტუდენტის/კურსდამთავრებულის პირად საქმეში და კანონით დადგენილი წესით გადაეცემა არქივს. (20.02.2017, №24/4).
- 30'. გამოცდის დასრულების შემდეგ საგამოცდო ოქმები სტუდენტთა მონაცემების ელექტრონულ ბაზაში ინახება 6 თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოცდის შედეგების ელექტრონული ვერსია დაარქივდება მყარ მოწყობილობაზე (DVD-დისკზე) და ინახება ცენტრში სტუდენტთა მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებამდე და დიპლომის (მისი დანართითურთ) მიღებამდე. შენახვაზე პასუხისმგებელია ცენტრის დირექტორი. შემდგომ DVD-დისკები ექვემდებარება განადგურებას სათანადო აქტის გაფორმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.02.2017, №24/4).
31. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი დეპარტამენტის მიერ დეკანატში უწყისის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 48 საათისა განთავსდება სტუდენტთა მონაცემების ელექტრონულ ბაზაში.
32. ცვლილებები და დამატებები „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესში“ განხორციელდება კანონით გათვალისწინებული წესით კადემიური საბჭოს დადგენილებით.

გარდამავალი დებულებანი

წინამდებარე წესის პ. 31 ძალაში შედის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მონაცემების ელექტრონული ბაზის სრულად ამოქმედების შემდეგ.

დანართი 1 –ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

*დანართი 1
(20.02.2017, №24/4)*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში
საგამოცდო ტესტების წარდგენის ვადებისა და ფორმის შესახებ

- საგამოცდო ტესტები გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრს წარედგინება გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 72 საათისა,
- ტესტები უნდა აიკრიფოს ქართული უნიკოდით, 1 ინტერვალით, ფორმატირების გარეშე,
- ტესტის შეკითხვა აღინიშნება 4 დახრილი ხაზით - \\\\",
- ტესტის არასწორი პასუხი აღინიშნება 3 დახრილი ხაზით - \\\\",
- ტესტის სწორი პასუხი აღინიშნება 2 დახრილი ხაზით - \\\\",
- ტესტის პასუხების რაოდენობა - 4-5,
- დახრილი ხაზები ტექსტიდან გამოიყოფა 2 ცარიელი სივრცით (Spacebar-ით),
- ტესტებს შორის გამოტოვებული უნდა იყოს 1 ცარიელი სტრიქონი (Enter-ით),
- ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ბერძნული ანბანის სიმბოლოებს (α , β , γ და ა. შ.)